№ 245
პარასკევი, 9 ნოემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12. . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11. . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10. . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9. . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8. . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7. . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

# ივერია

№ 245
პარასკევი, 9 ნოემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი ... საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინო ილარიონის ასული რატიშვილისა** შვილებითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 11 გიორგობისთვეს, სოფელ ქსოვრისში გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის პოლკოვნიკის

**ნიკოლოზ სოლომონის ძის რატიშვილის**

სულის მოსახსენებლად.

(1—235—1

## ქართული თეატრი

კვირას, 11 ნოემბერს, 1901 წ.

**ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ** წარმოდგენილი იქნება:

პირველად ამ სეზონში **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** მონაწილეობით

# ორი ობოლი

მელოდრამა 5 მოქმედებად ლენიერისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, კარგარეთელი, ნებიერიძისა, ლეჟავა, მდივანი და სხვ. ბ-ნნი: ყუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, აწყურელი, შათირიშვილი, იმედაშვილი, ურუშაძე, მირიანაშვილი, და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები **დაკლებულია** გალერია 20 კაპეიკამდე, პარტერი 50 კაპეიკამდე, ლოჟა 3 მანეთამდე.

რეჟისორი ვ. გუნია

მზადდება **ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ** ახალი პიესა ოსტროვსკისა „მგლები და ცხვრები“. (3—უ.—1)

**„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ნოემბრის 11 დღესა დილის 11 საათზე სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია

### საზოგადო კრება.

1, არჩევანი გამგეობის სამის წევრისა და მათის კანდიდატებისა.

2, არჩევანი სარევიზიო კომისიის ერთის წევრისა.

3, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. (3—უ—1)

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის

### გამგეობისაგან.

1898 წლის 25 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ სახელმწიფო საბჭოს იმ დადგენილებისა, რომელიც ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ყოფილ დამფუძნებელთა მიერ ამ ბანკის დასაარსებლად შეტანილ ფულის უკან დაბრუნებას შეეხება, და აგრეთვე 1900 წლის 8 მაისს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულის წესების მე-7 მუხლის ძალით, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა ამითი აცხადებს, რომ ის, ვისაც აქვს გადასაცემ წარწერით მიცემული უფლება თავადის ზურაბ (იგივე ტატო) ივანეს ძის მაყაშვილის მიერ, ზემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შვიდას ოც და ხუთი (725) მანეთის შეტანილ ფულის უკანვე მიღებისა და ბარათი ხელთ უჭირავს, ვალდებულია ეს ბარათი ბანკს წარმოუდგინოს ექვსის თვის განმავლობაში ამ განცხადების დაბეჭდვის დღიდგან; წინააღმდეგ შემთხვევაში იგა სამუდამოდ დაჰკარგავს ბანკიდგან ფულის მიღების უფლებას იმ ბარათით, და ეს ფული ზემოდ დასახელებულ თავადს მაყაშვილს, ან მისთა მემკვიდრეთა საკუთრებად ჩაითვლება.

(3—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. საღოლსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.** დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**კ. ი. ბძელიშვილი.** 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ტერ-აპეტიანცი.** 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეკოვი.** 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

**გ. ა. თარხანოვი.** შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

**ს. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოხი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Пэрвая частная лечебница—д-ра Навасэрдіана.**
**Тифлисъ, противъ памят. Воронцову.**

**კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებასთან** იყიდება 3 წლის ხილის ხეები. ვაშლის ხეები: წითელი, თეთრი და ყვითელი კალვილი, ანტონოვკა, სინაპი და რენეტი. მსხალი: ალექსანდრე, სასაზამთრო გულაბი; ატამი. ფასი დაკლებულია.

(3.—6.—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

**მიხეილ გედევანიშვილისა.**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

**ქ. ბ. ფედოროვი.** შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

**გ. გ. მაღალაშვილი.**—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

**ნ. ა. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

**ა. მ. შატილოვი**—თვალის, 10—11 საათ.

**ექიმი-ქალი მ. ს. ბაქრაძე** ბავშვებისა—11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**ა. გ. ბარსუკოვი** — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

**ს. ა. ვოინო**—ხირურგიული (საღოსტაქრო) ხუთშაბათობითა და შაბათობით—1—2 საათ.

## ფელეტონი

—

სამეცნიერო მიმოხილვა.

### შავი ჟირი და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

I

დღეს, როდესაც თითქმის ყველგან შავს ჭირზედ ლაპარაკობენ, ურიგო არ იქმნება წაკითხულ-გაგონილიდგან მკითხველებს ჩვენც ცოტაოდენი რამ გავუზიაროთ და გავაგებინოთ, თუ რა ბუნებისა და თვისებისაა იგი, საიდგან და როგორ ვრცელდება და რა საშუალება და ღონისძიება მოიპოვა დღეს-დღეისობით მეცნიერებამ, რომ მის წინააღმდეგ იბრძოლოს.

როგორც წარსულთა დროთა მეისტორიენი მოგვითხრობენ, შავი ჭირი, ანუ, როგორც უწინ ეძახდენ, დიდი ჭირი, ჯერ ისევ დაბადებისა, ჰომეროსისა, პლატონისა და ჰეროდოტეს დროსა ყოფილა თურმე ცნობილი. ფუკიდიდი სწერს, მაგალითად, რომ ქრისტეს წინედ მე-VI საუკუნეში ათინაში შავი ჭირი გაჩენილა და ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლად მკურნალთა მამათმთავარი ჰიპოკრატი მიუწვევიათ.

ამ ხნიდგან დაწყებული შემდეგს საუკუნოებში მრავალ გზის იჩინა თავი შავმა ჭირმა აზიის სხვა-და-სხვა ქვეყნებში, მაგრამ ევროპაში პირველად მეექვსე საუკუნეში გაჩნდა, სახელდობრ, 543 წ., და თითქმის ევროპის ყველა ქვეყნები მოიარა, გაანადგურაო.

ყველაზედ დიდი ჭირი ევროპას მეთოთხმეტე საუკუნეში თურმე ეწვია, რომელსაც ხალხმა სახელად „შავი ჭირი“, „შავი სიკვდილი“ უწოდა. ამ ხანად სენი პირველად ჩინეთში გაჩნდა და აქედგან ვაჭრებმა ინდოეთისა, სპარსეთისა და კავკასიის გზით ევროპაში გადაიტანეს. შავმა ჭირმა დიდად აზარალა აზია, დასავლეთი ევროპა და აქედგან პოლონეთი და რუსეთი. როგორც მეისტორიენი გადმოგვცემენ, ჩინეთში 13,000,000 კაცი თურმე იმსხვერპლა, აზიაში 23,000,000 და ევროპაში 25,000,000, რაიცა, მაშინდელის ანგარიშით, მთელ მცხოვრებთა რიცხვის მეოთხედს თურმე შეადგენდა. ამ რიგად შავმა ჭირმა მოჰსრა და გაანადგურა მთელი ქალაქები, სოფლები და დაბები.

მას შემდეგ ისე საუკუნეს არ გაუვლია, რომ ევროპასა და რუსეთს შავი ჭირი არა სწვეოდეს, არ ეზარალებინოს.

უკანასკნელად წარსულის საუკუნის პირველს რიცხვებში ეწვია რუსეთს შავი ჭირი, რომელიც სპარსეთიდგან იქმნა საქართველოში გადმოტანილი და აქედგან სამხრეთს რუსეთში. მოხუცი ქართველები ამ ამბავს დღესაც ნიშნობლივ მოიგონებენ და დაწვრილებით მოუთხრობენ, სად და როგორ გახიზნულან, რომ ჭირისათვის თავი დაეღწიათ. ამის შემდეგ წარსულს საუკუნეში ერთი-ორჯელ კიდევ იჩინა თავი შავმა ჭირმა რუსეთშია და ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ისე ძლიერად და სასტიკად არა, როგორც წარსულს საუკუნოებში.

შავის ჭირის სამშობლოდ ამ რიგად აზია და აფრიკის ერთი ნაწილი, შუა ეგვიპტე, უნდა იქმნეს ცნობილი, რადგანაც ჭირი მუდამ აქედგანა ვრცელდება სხვა ქვეყნებში. სამხრეთ-აღმოსავლეთს ჩინეთსა, იუნანის პალლობებსა და გიმალაის მთების სამხრეთს ნაწილში შავი ჭირი არასოდეს არ ისპობა და აქედგანა ვრცელდება ხმელეთისა თუ საზღვაო სავაჭრო გზით აზიის სხვა-და-სხვა ქვეყნებსა და ევროპაში.

როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ამ ჟამად შავი ჭირი ინდოეთსა, ჩინეთსა, ეგვიპტესა, ავსტრალიაში და ოსმალეთშია გავრცელებული, საიდგანაც ადვილია ჩვენს ქვეყანასაც ეწვიოს, თუ რაიმე საფრთხილობელი ღონისძიებანი დროზედ არ იღონა მთავრობამ.

როგორც ცნობილის საფრანგეთის პროფესსორის იერსენისა და იაპონელ ბაქტერიოლოგოსის კიტაზატოს გამოკვლევიდგანა სჩანს, შავის ჭირის გამავრცელებლად უნდა ჩაითვალოს მათ მიერ ჭირიან ავადმყოფის სისხლში აღმოჩენილი საგანგებო ბაცილა. აქედგან, როგორც ბევრი სხვა გადამდები სენიც, შავი ჭირი მხოლოდ გადამდებია, მაშასადამე, და თავისს თავად არასოდეს არა ვრცელდება.

ავადმყოფს უსივდება ჯირკვლები იღლიებსა და ლაჯებში, უსივდება ფეხები, თვალები, აძლევს საშინელს სიცხეს, ზოგიერთი შინაგანი ორგანოები, მაგ. ღვიძლი და ელენთა, ეზრდება, სახადის ნიშნებიც შეერევა ხოლმე, გონიერებას არა ჰკარგავს, მაგრამ როგორღაც თავი მოძულებულად მიაჩნია, ველარ იძვრის, მოშვებულია; სიმსივნე ემატება, კანი უშავდება, უბუჟდება და უკვდება; უჩნდება ჭრილი იარები და სხ., რასაც ავადმყოფი იშვიათად გადურჩება ხოლმე. თუ რომ ჭირიანი მორჩენას ეღირსა, ავადმყოფობა დიდ-ხანს გასტანს ხოლმე, ვიდრე იარები ნელ-ნელა მოურჩებოდეს.

შავის ჭირის თავდაპირველ გამავრცელებლად ყველა სწავლული მკურნალები, რომლებსაც კი შემთხვევა ჰქონიათ ჭირიანს ქვეყანაში

**ი. დ. ბეგთაბეგოვი.** სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

**სალამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

**კვირაობით:**

**გ. ზ. მაღალაშვილი**—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

**მ კ უ რ ნ ა ლ ი**

**მიხეილ გედევანიშვილი**

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, სალამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

**ინჟინერი**

გიორგი დეკანოზიშვილი

მიიღებს შემდეგ საინჟინერო სამუშაოს: 1) მადნეულობის გამოკვლევა: ნავთისა, ქვა-ნახშირისა, ვერცხლისა, სპილენძისა და სხვა; 2) წყლის გამოყვანას სასმელად და მამულების სარწყავად, 3) ექსპერტიზას სადავო საქმეებში; 4) პლანების გაკეთებას და სხვა საინჟინერო საქმეს.

ნახვა შეიძლება ყოველ-დღე 4—6 საათ. ადრესი: Георгіевская площадь, № 32. (8—5)

# ახალი ამბავი

—

*** საერო განათლების სამინისტროში ამ ჟამად საგანგებო კომისიას სხდომები აქვს იმის შესახებ, თუ დედათა საპროფესიონალო განათლება როგორ უნდა იქმნეს შეცვლილი.

*** როგორც შევიტყეთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამკითხველოს გამგეს განზრახვა თურმე აქვს ორ-ორი ცალი გამოიწეროს იმ ჟურნალ-გაზეთებისა, რომელსაც მკითხველი ბევრი ჰყავს. სამკითხველოს წარსულის წლის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია სულ 530 მან., ხოლო გასავალი 614 მან. და 95 კაპ. სამკითხველოთი რკინის გზის მოხელეთა მხოლოდ 25% სარგებლობს.

*** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დარბაზში კვირას, 11 ნოემბერს, სალამოს 8 საათზედ, ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიის წევრთა სხდომაა დანიშნული წარსულის წლის ანგარიშის განსახილველადა და ბიუროს წევრების ამოსარჩევად.

*** 23 ნოემბერს მოსკოვში რკინის გზათა უფროსების კრებაა დანიშნული.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა საქველ-მოქმედო საზოგადოებათათვის ახალი წესები გაუგზავნია, რომლითაც ლატარიების გამართვის დროს უნდა იხელმძღვანელონ. ლატარიების გამართვის უფლება ახალი წესებით ეძლევათ მხოლოდ იმ საზოგადოებათ, რომლებიც საქველმოქმედო აზრით არიან დაარსებულნი. რაც შეეხება საურთიერთო დახმარების საზოგადოებათ, ამათ უფლება არ ექმნებათ ლატარიები გამართონ ხოლმე.

*** განზრახვა აქვთ ტფილისში გამართონ ხოლმე დრო-გამოშვებით სასოფლო სამეურნეო სხვა-და-სხვა დარგის გამოფენები, რომ ამ მხრივ წარმოდგენილ იქმნას სურათი ამიერ-კავკასიაში მეურნეობის განვითარებისა.

*** გზათა მინისტრმა ნება დართო, რომ ყარსის რკინის გზის მე-99 ვერსზედ ახალს პლატფორმას სახელად ალავერდის პლატფორმა დაერქვას.

*** დღეს, 9 ნოემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, საქალაქო სამკურნალოში დანიშნულია გამოცდა იმათი, ვინც ქალაქის საყასბოს მიკროსკოპიულ სადგურზედ სამსახურს კისრულობს.

*** ამ მოკლე ხანში წარედგინება ქალაქის საბჭოს გამგეობის წევრის ჩერქეზიშვილის მიერ შედგენილი გეგმა განსვენებულის ზუბალაშვილის სახელობაზედ დასაარსებელ თავშესაფარისა შეუძლებელ ავადმყოფთა და მოხუცთათვის.

*** კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დღეს, 9 ნოემბერს, სალამოზედ სხდომა ექნება ტფილისის საბალოსნო სკოლის მზრუნველი ამოსარჩევად.

*** ამ დღეებში კავკასიის სასოფლო სამეურნეო-საზოგადოების დარბაზში სამეურნეო საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება მოხდება იმის განსახილველად, კავკასიის გამოფენა მომავალის წლის ზაფხულსაც იქმნეს დატოვებული, თუ ახლავე დაიხუროს.

*** შაბათს, 10 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველს დეპარტამენტში, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები: კ. კოჩიშვილისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ჰბრალდება და მიხა გასიშვილისა და ისაკ გოლოშვილისა, რომელთაც კაცის მოკვლა ჰბრალდებათ.

*** 6 ნოემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობის და საფინანსო კომისიის შეერთებულს სხდომაზედ განხილულ იქმნა ქალაქის მომავალ 1902 წლის შემოსავალი. ქალაქს მომავალს წელს უფრო მეტი შემოსავალი ექნება, ვიდრე წელს, განსაკუთრებით დასაფასებელ გარდასახადის შემოღებით.

*** გაზეთი „Кавказъ“-ი სწერს: მისი უმაღლესობა პრინცი ლიუდოვიკო ორლეანისა ამ თვეში გაემგზავრება ინდოეთსა და თურქესტანში. პრინცი ტფილისზე გაივლის.

*** 7 ნოემბერს, ტფილისის სადგურზედ, რკინის გზის მოსამსახურეს ნესტორ ბიგვავას ორთქლმავალის გამოცდის დროს თითები დაუშავდა. დაშავებული სამკურნალოში გაგზავნეს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ მისწერა ვიატკის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს, რომ აქაურ რკინის გზისათვის 380,000 შპალა გამოუგზავნონ სახაზინო ტყიდგან.

*** რადგანაც მუხრანსკის ქუჩაზედ, პოლიციის მე-5 ნაწილში, ხოსროევის სახლი ძლიერ დაძველებულა და ზოგან კიდევაც დაბზარულა და შესაძლებელია რაიმე უბედურება მოხდეს, ამის გამო პოლიციის მოქაულმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, სახლის შესამოწმებლად ტეხნიკოსი დანიშნეთო.

—

**ქუთაისის თეატრი.**

„ვენეციელი ვაჭარი“, დრ. 4 მოქმედ. შექსპირისა.

„ირინეს ბედნიერება", დრ. სურ. 2 მოქ. დ. კლდიაშვილისა.

—

ბ-ნ კოტე ყიფიანის მონაწილეობით დადგმულმა „ვენეციელმა ვაჭარმა“ კვირას, 4 ნოემბერს, დიდძალი საზოგადოება შეჰკრიბა თეატრის დარბაზში. ბ-ნი ყიფიანი კარგი იყო შეილოხას როლში, თუმცაკი ვერ დაგვიხატა სავსებით ვენეციელ ვაჭრის ძლიერი ბუნება, მაგრამ მაინც იმის თამაშში ნათლად სჩანდა როლის შეგნება, დაკვირვება და გრძნობიერება. კარგი იყო აგრეთვე თავის პატარა როლში ბ-ნი ბალანჩივაძეც (ლანსლო), რომლის თითოეული სიტყვა განუწყვეტელ სიცილ-ხარხარს იწვევდა საზოგადოებაში. ქ-ნი გვეთაძე გვარიანი იყო პორციის როლში. ეტყობა, არტისტი-ქალი მუყაითად ეკიდება საქმეს და, თუმცა მიმბაძველობისაგან ვერ განთავისუფლებულა, მაგრამ იმის თამაშს მეტი დაკვირვება და ბუნებრიობა ეტყობა. ბ-ნ დ. ჩარკვიანმა ძალიან სუსტად იცოდა როლი და აბა, მარტო ხელების შლით რა შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. ბ-ნი თუთბერიძე, ჩვეულებრივ, უსიცოცხლო იყო ანტონიოს როლში, თუმცა როლი ჩინებულად იცოდა და კიდევაც ცდილობდა გრძნობით თამაშობას. საზოგადოდ, მსახიობნი ანსამბლს ხელს არ უწყობდნენ და წარმოდგენას ისევ ბ-ნ ყიფიანის თამაში აცხოველებდა.

საუცხოვოდ ჩაიარა სამაგიეროდ მეორე პიესამ, რომელიც, როგორც გვამცნო აფიშებმა, მზადდებოდა „პატივცემულ ავტორის დ. კლდიაშვილის ხელმძღვანელობით“. მიუხედავად იმისა, რომ „ირინეს ბედნიერება“ მეტად მოსაწყენი პიესაა, ჩვენმა მსახიობებმა თავი ისახელეს და მთელი პიესა თავიდან ბოლომდე ისე ჩაატარეს, რომ აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება. განსაკუთრებულ ყურადღებას დაიმსახურა ბ-ნმა ბალანჩივაძემ (ფუფლიპე). მისი ბუნებრივი თამაშობა გავიწყებდა, რომ თეატრში იჯექი და სცენაზე მსახიობს უყურებდი. სათითაოდ არ ჩამოვთვლი ყველა მოთამაშეს, რომ ამით რეცენზია არ გავაჭიანურო. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველამ ჩინებულად შეასრულა თავისი როლი. ასე მწყობრად და ასეთის ანსამბლით იშვიათად ჩაუვლია წარმოდგენას ჩვენს სცენაზე და, მგონია, ავტორის „ხელმძღვანელობას“ უნდა ვუმადლოდეთ, რომ საზოგადოება ასე ნასიამოვნები წამოვიდა თეატრიდგან. ავტორი განუწყვეტელის ტაშის ცემით და „ვაშას“ ძახილით დააჯილდოვეს. კარგი იქნება, ჩვენი დასი მეორედ წარმოადგენდეს ამ პიესას.

Homo novus.

# დაბა და სოფელი

—

**ფოთი.** პარასკევს, 2 ნოემბერს, აქ შემდეგი გულ-შემზარავი მკვლელობა მოხდა: საბაჟო დაწესებულების ამკრები მოხელე ს. ტროიე ნაჯახით მოჰკლა თავისისავე ცოლის ძმამ კ. ლაზარევიჩმა. როგორც თვითონ მკვლელის მოქმედებიდგანა და ჩვენებიდგანა სჩანს, კ. ლაზარევიჩს, რომელიც სულით ავადმყოფია, დიდი ხანია ჰნდომებია თავისის სიძის მოჰკვლა, რისთვისაც იგი თურმე მხოლოდ მოხერხებულს დროს ელოდა, რომ მარტო დარჩომილიყო სიძესთან სახლში, მოეკლა და შემდეგ გაპარულიყო. ამ დღეს ყველანი თურმე ნავთ-სადგურისაკენ სასეირნოდ წავიდნენ. სახლში დარჩნენ მარტოდ სიძე, ცოლის ძმა და მზარეული ქალი. შეატყო თუ არა ცოლის ძმამ, სიძე მარტო სახლში მუშაობსო, შეუდგა ნაჯახის ლესას; შემდეგ მივიდა სამზარეულოსთან და შიგ მყოფს მზარეულს კარები გადუკეტა. მერე შევარდა სახლში, სადაც საბრალო მისი მსხვერპლი მუშაობდა და სიძეს, როგორც გველს, თავი გაუჩეჩქვა...

---

ყოფნისა, ერთხმად აღიარებენ—რომ სენს ავრცელებენ მომეტებულ ნაწილად თაგვები და ვირ-თაგვები, რომლებსაც ყველაზედ ადრე და ადვილად თურმე დაერევა ხოლმე. შავის ჭირის დროს კანტონში, მაგალითად, ერთის თვის განმავლობაში 40,000 მკვდარი თაგვი აღმოაჩინეს და პირველად იმათ შეჰხვდათ შავი ჭირი, რომლებიც დახოცილს თაგვებსა ჰკრებდნენ და სწვავდნენ. ასრევე ადვილად ავრცელებენ ჭირს სხვა-და-სხვა გვარი კოღო-ბუზები, გველები, ძაღლები და სხ. ცხელს ქვეყნებში, მაგალითად, ინდოეთში, სადაც მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი თითქმის ფეხთ-შიშველი დადის და კანი სხვა-და-სხვა გვარ კოღო-ბუზებისაგან დაკბენილი და დამუწუკებული აქვთ, შავის ჭირის გადადება სულ ადვილი საქმეა. ამიტომაც მრავალი ხალხი იხოცება აქ ამის დასამტკიცებლად იერსენმა თავისს ლაბორატორიაში აიღო რამდენიმე მკვდარი ბუზი. წვრილად დაფხვნა და დაფქვა, შემდეგ წყალი შეურია და ასეთი სითხე სრულიად საღს ბაჭიებს შეუშხაპუნა კანს ქვეშ. დღე-ღამის განმავლობაში ბაჭიები შავის ჭირისაგან დაიხოცნენ. როდესაც გასჭრეს და გამოიკვლიეს, სისხლში შავის ჭირის ბაცილები აღმოაჩნდათ. ეჭვი არ არის, ბუზები ჭირიანები იყვნენ და ბაჭიებსაც ამათგან გადაედოთ.

ამ რიგად შავის ჭირის გადადება შეიძლება კანიდგან, თუ რომ დაიარავებულსა და დამუწუკებულს ადგილას ბაცილა საიდგანმე მოჰხვდა. მეორე და მესამე საშუალებად კიდევ შავის ჭირის გადადებისა უნდა სასუნთქი და საჭმლის მომნელებელი ორგანოები, ე. ი. ჰაერი და საჭმელი ჩაითვალოს, მაშასადამე.

ამიტომაც ყველაზედ ადვილად და მალე გადაედება ხოლმე სენი იმას, ვინც ჭირიან ავადმყოფებთან ახლოს არის, უვლის: საიდგანმე საჭმელში ან ჰაერთან ჩაყოლებული „ბაცილები“ სრულიად საკმარისია, რომ ადამიანი შავის ჭირით ავად გახდეს.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რასაკვირველია, თუ ამა თუ იმ შემთხვევაში თვითონ ორგანიზმს რამოდენი ძალა აქვს, რომ შავის ჭირის ბაცილებს ბრძოლა გაუწიოს, რამდენად სუფთადა და მორიდებულად ინახავს თავს, რამდენად სუფთა და საკმაო ჰაერითა ჰსუნთქავს: არა ჰიგიენური პირობები, უსუფთაობა, შეხუთული ჰაერი, ცუდი საჭმელი, მოუსვენრობა და სხ. მისთანანი შავის ჭირის გადადებას, როგორც სხვა გადამდებ სენისასაც, ხელს დიდად უწყობენ.

მართალია, შავის ჭირის ბაცილები იმდენად ამტანნი არ არიან სიცხე-სიცივისა (54° სიცხეს ძლივს უძლებენ და 60° მთლადა ჰხოცავს), როგორც სხვები, მაგრამ გაძლებით-კი დიდ-ხანსა სძლებენ და სიცოცხლის ნიშნებს ხანგრძლივად თურმე ინარჩუნებენ.

ერთმა ახალგაზრდამ (სმირნაში) მამის სიკვდილს შემდეგ, რომელიც შავმა ჭირმა გადაიტანა, მისი ნივთები ყუთში ჩაალაგა, დაკეტა და ევროპაში წავიდა. უცხოეთიდგან სამშობლოში მხოლოდ 30 წლის შემდეგ-ღა დაბრუნდა. საბრალოს ნივთების ამოლაგებაზედ შავი ჭირი გადაედო და თან გადიტანა, თუმცა იმ დროს სმირნაში ჭირი აღარსად იყო. ეჭვი არა არის, მიზეზად ტანისამოსში ჩაყოლილი ბაცილები გაუხდა.

მაშასადმე, დამტკიცებულადა და ეჭვს გარეშედ უნდა იქმნეს ცნობილი, რომ ბაცილებს გარეშე შავის ჭირით ავად გახდომა შეუძლებელია. მეორე მხრივ, დამტკიცებულია აგრეთვე ისიც, რომ ორგანიზმი შავის ჭირის ბაცილებს, რომლებიც ერთობ სუსტნი და გრძნობიერნი არიან, თუ სინათლე და ნოტიო როგორმე მოაკლდათ, ან ანტისეპტიური საშუალება მოჰხვდათ, დიდს წინააღმდეგობას უწევენ ეგრედ წოდებული მეჩნიკოვისეული ადამიანისა და ცხოველების სხეულის უჯრედები—სახელდობრ, ფაგოციტები. ამის დასამტკიცებლად პროფესსორმა რუმ, მეჩნიკოვის ჩაგონებით, შემდეგი ცდა მოახდინა და გასაკვირველი აზრი დაასკვნა, რომელმაც დიდებულის მეცნიერის მეჩნიკოვის აზრი — ორგანიზმის მიერ თავისს თავის მფარველობისა—ერთხელ კიდევ აშკარა-ჰყო.

რუმ აიღო შავის ჭირის ბაცილები, კოლოდის (წებოს) ტოპრაკში ჩასხა, რამდენსამე ბაჭიას მუცელი გაუჭრა, შიგ ჩაუდო და ისევ გაუკერა; იარა გაკერილისა, რასაკვრელია, მალე გაუმრთელდათ. აღნიშნულს ცდას აზრადა ჰქონდა დაემტკიცებინა, რომ ბუნებითს პირობებში, თუ ორგანიზმში, ორივ ერთია, ერთნაირად კარგადა და ადვილადა ვითარდებიან ბაცილები, თუ რომ მათ წინააღმდეგობას სხეულის უჯრედები არ უწევენ. და აკი გამართლდა კიდეც. ორს შემთხვევაში, პირველში, როდესაც ბაცილები კოლოდით არ იყვნენ შემოფარგლულნი და სხეულის უჯრედებს მათზედ მოქმედება შეეძლოთ, ისე კარგადა და სავსებით ვერ განვითარდნენ, ხოლო მეორეში, როდესაც კოლოდი იფარავდა და სამაგიეროდ სხეულის სხვა-და-სხვა მასაზრდოებელი, კოლოდიდგან გაჟო-

ა, სული გააფრთხობინა. მოჰკლა
უ არა, ახლა სახლის გაჩხრეკას
უდგა, ამოიღო თხუთმეტ მანე-
მდის ფული, სხვა-და სხვა ძვირ-
სი ნივთები, გამოვიდა გარეთ,
ჯდა ეტლში და ვაგზლისაკენ გა-
ჟურა, რომ სახალხო მატარე-
ლს გაჰყოლოდა. მაგრამ ბედმა
მტყუნა და მატარებელმა 20 წუ-
ით გაასწრო. მეტი გზა რომ აღა-
ა ჰქონდა, ფოთში დარჩენას ისევ
ხით წასვლა არჩია და ქალადი-
საკენ გაუდგა თურმე ფეხით
ზას. პოლიციამ ეს ამბავი დრო-
დ შეიტყო, მკვლელს უკან და-
დევდა ბოქაული კ. ქავთარაძე
ა ქალაქიდში შეიპყრო. როდე-
ც მკვლელს გამოჰკითხეს, თუ
ეთი საზიზარი მოქმედება რად
იდინა, ყოველივე დანაშაული
ურმე აღვიარა და სთქვა: „სიძე
იტომ მოვკალი, რომ, როგორც
ეკუნი, ჩემს მამულს დაესაკუთრა
ა მე-კი მშიერ-მწყურვალე და
შველ-ტიტველი დავეხეტებო-
ო.“

ი. კ—ძე

—

ს. **ხეთა** (ზუგდიდის მაზრა). ამ
ის წლის წინად ერთმა ამ სოფ-
ის მკვიდრთაგანმა, ტფილისის სა-
ულიერო სემინარიაში კურს დამ-
ავრებულმა, ბ-მა შუშანიამ თავისის
არჯით თავისსავე ეზოში გახსნა
ამრევლო სკოლა. ჩვენში მაშინ
ამრევლო სკოლის ხსენება არსადაც
იყო და არსებობდა მხოლოდ
ამინისტრო სკოლები.
ამ დროს მანანასავით მოევლინა
ს პატიოსანი მუშაკი. საზოგადო-
ისათვის რომ სკოლა როგორმე
შეეყვარებინა და მასში ნდობა დაემ-
ხურებინა, მასწავლებელი მოწა-
ეებს არასფერს არა სთხოვდა, პირ-
ით სასწავლო ნივთებსაც უფასოდ
ურიგებდა.
ასე გაატარა ორი წელწადი, მაგ-
რამ სასულიერო მთავრობამ ასეთი
ისი მოღვაწეობა უყურადღებოდ
რ დასტოვა, დააფასა მისი შრომა
ა დაუნიშნა ჯამაგირი. მალე ეს
რთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასია-
ათაც გადაკეთდა, შემდეგში-კი

1899 წლიდგან საოსტატო კურსებიც მიემატა. მაშინ სკოლას შენობის ასაგები ფულიც დაუნიშნეს და ჯამაგირიც მოუმატეს.

1899 წლის დამდეგს ზუგდიდის მაზრის სამოსწავლო საბჭოს განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არას, რომ ასეთი მეორე კლასიანი სამრევლო სკოლა ზუგდიდშიაც დაეარსებინათ ქალებისათვის, მაგრამ უარი მოუვიდათ. მთავრობამ განუმარტა ხსენებულს საბჭოს, რომ კანონით თითოეულს ეპარქიაში ასეთის ტიპის სასწავლებელი მხოლოდ ორი უნდა იყოსო, მაგრამ, გურია-სამეგრელოს ეპარქში-კი სამი სკოლა უკვე იყო დაარსებული (კიწიასა, ბანძასა და ხეთაში); ამიტომ ამ ერთს შემთხვევაში უმაღლესის მოწყალებით სამსავე სასწავლებელსა სტოვებენ, ხოლო მეტის დაარსება აღარ შეიძლებაო.

ხსენებული საბჭო სათანადო მთავრობას იმ მოსაზრებით-კი უფრო სთხოვდა მეოთხე სკოლის დაფუძნებას, რომ ამ საქმისათვის მას დიდსა და უხვს შემწეობას ჰპირდებოდნენ. მაგ., უგანათლებულესი პრინცესა სალომე მიურატისამ ქცევა-ნახევარი ადგილი დაბა ზუგდიდის შუა ალაგას შესწირა სკოლის ასაგებად, ხოლო სამის წლით სანამ სკოლის აგებას მოასწრობდნენ უფასოდ დაუთმო შენობა, სადაც სკოლის მოთავსება ადვილად შეიძლებოდა; დაბა ზუგდიდის მცხოვრებლებმა და ვაჭრებმა კიდევ ორასი თუმანი შემოსწირეს და ადგილობრივი სამღვდელოებაც წლიურად ას-ას თუმანს დაჰპირდა.

ასეთის უხვი შემწეობისა გამო ხსენებულმა საბჭომ ხელ-ახლად აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე და ხეთის ზემოხსენებულ სკოლის გადმოტანა ითხოვა დაბა ზუგდიდში.

ამავე დროს თვით ს. ხეთაშიაც ასტყდა დავა და საჩივარი ხსენებულ სკოლის შენობის ასაგებ ადგილისა გამო, რომელიც ჯერ კიდევ არ გათავებულა. სოფლის ყოველი უბანი სკოლას თავისკენ იწევა: არა ჩვენკენა სჯობიან, არა—ჩვენკენაო ამ დავას ახლა სხვა სოფლებმაც ბანი მისცეს: მაგ., ხობელები იძახიან უფრო სამართლიანი იქნება, თუ ეგ სკოლა ხობის მონასტერთან იქნება დაარსებული და სხ. ყველა ეს დავა და საჩივარი უწმინდესმა სინოდმა მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ექსარხოსს ფლაბიანეს გადასცა. მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ექზარხოსმა ფლაბიანემ ამ საქმის გამოსაძიებლად ამას წინად ქართლ-კახეთის სამრევლო სკოლების საეპარქიო მეთვალყურე (ეხლა მთელის საექზარხოსო ოლქის მეთვალყურე) დეკანოზი ვოსტორგი დანიშნა, რომელიც ჯერ-ჯერობით არ ჩამოსულა. იმედია, მამა ვოსტორგოვი არ დაიგვიანებს ჩამოსვლასა და საქმის გამოძიებას, რომ სკოლას ერთ რომელსამე ადგილს აურჩიოს ადგილი; და იქნება-კი ისეც გარდაწყდეს საქმე, რომ ხეთას სკოლა არ გამოეწიროს და ზუგდიდშიც ახალი სკოლა გახსნას.

ისიდორე შიოძე

—

# უცხოეთი

—

**ავსტრო-უნგრეთი.** უნგრეთის პარლამენტის საპასუხო ადრესი სეფე-სიტყვის გამო უკვე მზად არის და პარლამენტს წარედგინა განსაგილველად.

ადრესი აღნიშნავს უნგრეთის არა კმასაყოფელი საეკონომიო მდგომარეობას, სადამოჟნო კავშირს და სავაჭრო ხელშეკრულობას. ავსტრიასა და უნგრეთს შორის სადამოჟნო კავშირი ორსავე ქვეყნისათვის სასარგებლოდ არის მიჩნეული. სადამოჟნო ტარიფის შესახებ ადრესში გამოთქმულია ის აზრი, რომ სასურველია უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიექცეს სასოფლო მეურნეობის ინტერესებს. პარლამენტს იმედი აქვს, რომ ამ თუ იმ სავაჭრო ხელშეკრულობას არ ექმნება ცუდი ზედმოქმედება სამთა კავშირის წევრთა ურთიერთობაზე.

**ჰოლანდია.** „Dentschen suristen.“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი პროფესორის ნიმეირისა გააგის საერთაშორისო სამსჯავროს შესახებ.

პროფესორის აზრით, სწორეთ რომ ითქვას, გააგაში არავითარი სამედიატორო სამსჯავრო არ არსებობს. გააგის კონფერენციის აქტების ძალით, იქ არის მხოლოდ ისეთნი დაწესებულებანი, რომელნიც ხელს უმართავენ სამედიატორო სასამართლოს დაარსებას, თუ ამისათვის შემთხვევა აღმოჩნდება. აქედგან ჯერ შორს არის სამუდამო სამედიატორო სამსჯავრო. გააგის სამედიატორო სამსჯავროს შეადგენს: „Bureau international de la Haye“, რომელიც განაგებს ბიბლიოთეკას, ტრიბუნალის არხივს და იმის კორრესპონდენციას; „Conseil administratit,“ შემდგარია დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენელთაგან, რომელთაც ხელი მოაწერეს გააგის კონფერენციას. ეს დაწესებულება განაგებს ბიუროს საქმეს ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით; და, დასასრულ, „Cour permanente d'arbitrage“ სამუდამო სამედიატორო სამსჯავრო, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ იმ მედიატორეთა კრებას, რომელთაც აირჩევენ სახელმწიფონი საჭიროების დროს საქმის განსახილველად. ამ სამსჯავროს მოქმედებისათვის უწინარეს ყოვლისა საჭიროა, რომ თვით იმ სახელმწიფოებმა მიანდოს სამსჯავროს თავისის საქმის გარჩევა, რომელთა შორისაც უთანხმოება რამ ჩამოვარდება. უამისოდ არც ერთს ხსენებულს დაწესებულებას არა აქვს ნება რომელიმე საქმე განიხილოს, თუ მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ სთხოვა საქმის განხილვა.

**ოსმალეთი.** დიდ ვეზირად დანიშნულ იქმნა, სრულიად მოულოდნელად, იუსტიციის მინისტრად ნამყოფი აბდურაჰმან-ფაშა, რომელიც ცნობილია, როგორც უკიდურესი ფანატიკოსი და ჯიუტი ადამიანი. სხვათა შორის აბდურაჰმან-ფაშა წინააღმდეგი იყო იმისი, რომ ოსმალეთს საფრანგეთის უკანასკნელნი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა.

**ინგლისი.** 29 ოქტომბერს პარლამენტის ოპოზიციონისტების ლიდერმა კემპბელ-ბანნერმანმა კერძო მიტინგზე აბერდინში სიტყვა წარმოსთქვა სამხრეთ აფრიკის ომის შესახებ. ორატორის აზრით, ომი ინგლისმა უთუოდ გამარჯვებით უნდა დაამთავროს, მაგრამ საჭიროა აგრეთვე წინადვე იქმნას გამორკვეული, რა გვარად უნდა მოეწყოს რესპუბლიკების მომავალი მდგომარეობა. ორატორის აზრით, წინანდელ დამოუკიდებელ არსებობის წესი არ შეიძლება დარჩენილ იქმნას, მაგრამ მაინც საჭიროა ბურებს ფართო თვით-მმართველობა მიეცეს. ამ საშუალებით ბურები თავის ეროვნულს, ნაციონალურს თვის ტომობას შეირჩენენ და იმავე დროს ბრიტანიის იმპერიის ერთგულ მოქალაქეებად შეიქმნებიან.

„Daily-Mail“-ი იუწყება, სარწმუნო წყაროებიდამ ვიცით, რომ კრიუგერი თანახმაა სამშვიდობო მოლაპარაკება დაიწყოს ინგლისთანაო. გაზეთის სიტყვით, კრიუგერი შემდეგს პირობებს იძლევა: გამოცხადებულ უნდა იქმნას ამნისტია, ყველა მეამბოხეების შესახებ; დაბრუნებულ უნდა იქმნან ყველა ტყვედ წიყვანილი ბურები; ბრიტანიამ ორივე რესპუბლიკის ტერრიტორიიდამ უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები; აღდგენილ იქმნას ზარალი, რომელიც ინგლისმა მოუტანა ბურებს და ამასთან ინგლისმა ხელი მოაწეროს ხელ-შეკრულობაზე იმის შესახებ, რომ ბურებს მიენიჭოთ სრული ავტონომია და თვით-მმართველობა; ამ ხელ-შეკრულების აღსრულება უზრუნველ ყოფილ იქმნას რუსეთისა და საფრანგეთის მიერ. ბურები სამაგიეროდ ინგლისს იმ ადგილებს დაუთმობენ, რომლებზედაც ოქროს მადნები მოიპოვება. ინგლისის სხვა გაზეთები „დეილი-მაილი“-ს ცნობას სიცრუედა

---

ილი წვენი თავისუფლად ეძლეო-
ათ, საუცხოვოდა ვითარდებოდნენ
ა მომაკვდინებელს შხამს შავის ჭი-
ისას ბლომად ამზადებდნენ.
თქმა არ უნდა შავი ჭირის ბაცი-
ების მომაკვდინებელი ნივთიერე-
ა სწორედ ეს შხამი იყო და ამის
წინააღმდეგ როგორმე უნდა აღმო-
ჩინათ საშუალება.
მთელი თავისი ყურადღება სწავ-
ლულმა ბაქტერიოლოგოსებმა ამი-
სათვის განსაკუთრებით ამ საგანს
მიაპყრეს, რომელთა შორისაც ბედ-
ა რუსეთის სწავლულს ხავკინს არ-
გუნა აღმოჩენა შავის ჭირის საწი-
ნააღმდეგო ლიმფისა (ასაცრელი
ირქისა). ხავკინი მაშინ (1894 წ.) ამ
ზრით საგანგებოდ იყო ბომბეაში
შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძო-
ლოდ გაგზავნილი, იქ აღმოაჩინა
მან ეს საკაცობრიო საშველავათო
ლიმფა და იქვეა დღეს შავის ჭი-
რის წინააღმდეგ საბრძოლად დაარ-
სებულ საგანგებო ლაბორატორიის
შენობა, რომელიც (ლაბორატორია)
ინდოეთის მთავრობამ გახსნა თავი-
ის ხარჯით.

ურიგო არ იქნება მაშ, მოკლედ გავაცნოთ მკითხველს, რისგან და როგორ შესდგება ეს ჯადოქარი ლიმფა, მისი საიდუმლო ხასიათი და პრინციპი, რომლითაც წამალი თავისს ძალას იჩენს, არა მკურნალთათვისაც ცხად-ვჰყოთ.

პირველი და უმთავრესი საჭიროება ამისათვის თვითონ შავის ჭირის ბაცილების წმინდა კულტურის (ჯიშის) მოშენებაა. იღებენ ამ გვარ შემთხვევებისათვის ჩვეულებრივს ბაცილების მასაზრდოებელს ნივთიერებას—ხორცის ბულიონს, კარგა ლამაზად ჰხარშვენ, მერმედ ჩაასხმენ შუშის მასრებში, ზევიდგან რამდენსამე წვეთს გაწმენდილსა და ნაორთქლს წყალში გახსნილს ძროხის ერბოს ჩაუშვებენ და რამდენსამე ხანს სასტერილიზაციო აპარატში ამყოფებენ, რომ ძლიერმა სიცხემ საკმაოდ გასწმინდოს და უვნებელ-ჰყოს.

აი, ასეთს ბულიონში შეჰყავთ მერმედ ბაცილები, რომ საჭირო რიცხვი მოამრავლონ და შემდეგ კი ისრევე დაჰხოცონ, ლიმფად გამოიყენონ. ბაცილების სიცოცხლისა და მომრავლებისათვის-კი აუცილებელს საჭიროებას შეადგენს უთუოდ მუდამ ერთნაირს სითბოში იმყოფებოდნენ. ამისათვის ბულიონს, რომელშიაც შავის ჭირის ბაცილები არიან ჩასახლებულნი მოსაშენებლად, საგანგებოდ მოწყობილს შკაფში სდგმენ 6 კვირით, რომელსაც „ტერმოსტატს“, ე. ი. სითბოს მაზომიერებელს უწოდებენ.

ამ რიგად შენახულს ბულიონში მალე ზემოდგან წვრილი ბეწვები ჩამოიძაფება ლოლუებივით, რომლებიც ყოველს ხუთს დღეში ერთხელ შენჯღრევით ნაწილ-ნაწილად დაიძირება. თვითონ ბულიონი-კი ისევ კამკამა და წმინდა დარჩება ზემოდგან. ამ რიგად ბაცილებს ექვსს კვირას აცოცხლებენ. ექვსის კვირის შემდეგ-კი შუშის მასრებს „ტერმოსტატიდგან“ ამოიღებენ და ახალა $65^{0}$ წყლის აბანოში ჩაუშვებენ ერთი საათით, რომ ცოცხალი ბაცილები დაჰხოცოს (შავის ჭირის ბაცილები $54^{0}$ მეტს სითბოს ვერ უძლებენ). მაინცა და მაინც რომ დარწმუნდნენ—ბაცილები ახლა-კი დახოცილები იქმნებიანო, იღებენ აგარ-აგარსა (ესაც ბაცილების მასაზრდოებელი მცენარეული ნივთიერებაა) და შიგ ამ ბაცილებს ასახლებენ. თუ რომ რამდენისამე ხნის შემდეგ ბაცილებს გამრავლება არ დაეტყობათ, სჩანს დახოცილები ყოფილან და შეიძლება ახლა სხვა შუშებში გადაიღონ შესანახადა. მაგრამ ვიდრე ასე ცალკე სხვა შუშებში გადაიღებდნენ, ჯერ ყველა მასრების ბულიონს დახოცილი ბაცილებითურთ ერთად შეურევენ და გასწურვენ, შემდეგ მოჰხდიან ერბოს, რომელიც შუშის მასრებში ჩაუშვეს, მიუმატებენ $^{1}/_{4}\%$ კარბოლის სიმჟავისასა და რუს მიერ გამოგონილ საგანგებო აპარატით ლიმფას კარგა ლამაზად სიცხეში გატარებულსა და გაწმენდილს შუშებში ჩაასხმენ, რომელთაგანაც თვითოეული 3, 5, 10, 15 და 20 კუბიკ. სანტიმეტრს უნდა შეიცავდეს. აღნიშნულს შუშებს საგანგებოდ უცხოეთიდგან იწერენ, (ძირს განიერია, ზემოდ და ზემოდ ყელში გაწვრილებული), ავსებენ, მაშინვე სპირტის ლამპარზედ პირს მიუწებებენ და ერთი საათით $65^{0}$ კიდევ გააცხურებენ, რომ ჰაერიდგან არა ჩაჰყოლოდეს-რა და საბოლოოდ უვნებელ იქმნეს. ასეთს ლიმფას შემდეგ ათასობითა და ათი ათასობით დედამიწის სხვა-და-სხვა კუთხეში ჰგზავნიან, რომ სადაც-კი შავი ჭირია გავრცელებული, ხალხს აუცრან.

აღნიშნული ლიმფა გაწმენდილსა და უვნებელს შავის ჭირის შხამს წარმოადგენს, რომელსაც გასაფრთხილებლად ადრევე უცრიან ხალხსა, როგორც ყვავილს, მაგ. და სხ. ლიმფა წლამდე ძალას არა ჰკარგავს. შემდეგ-კი უთუოდ უნდა გამოიცვალოს.

ამ რიგად „სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნაო“, ნათქვამია როგორც აღდგომის საგალობელში, სწორედ ისე დასთრგუნა მეცნიერებამ შავის ჭირის შხამი შხამითვე და მრავალ ტანჯულსა და დევნილს ადამი-ტომს მძიმე ტვირთი ცხოვრების იოტის ტოლად კიდევ შეუმსუბუქა.

Morosus.

სთვლიან. კრიუგერი არასოდეს არ მოატყუებს თავს იმ იმედით, რომ ინგლისი დასთანხმდებოდეს ამ გვარს პირობებზედ.

**ესპანია.** მადრიდელი კორესპონდენტი სწერს „Berl. Tagebl.“, ბარსელონაში დიდი უწესოება ხდება ამ ჟამადაო. რამდენიმე დღის წინად კატალონიის სტუდენტები დასცემიან თავს გაზეთის „Publicidad“-ის რედაქციას და გაუნადგურებიათ. ღამე ქუჩაზე შეტაკება მოჰსვლიათ მეამბოხეებს პოლიციასთან; დაჭრილები ორივე მხრიდამ ბლომად ყოფილან. პუებლოშიც დიდი უწესრიგობაა თურმე არჩევნების გამო. რამდენჯერმე რევოლვერები უსროლიათ. არჩევნები დროებით შეუჩერებიათ.

## მცირე განმარტება

ზოგიერთთაგან სამდურავი გავიგონე, რომ ვითომ ჩემს „სახელდახელო“-ში, რომელიც კვირის ნომერში დაიბეჭდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების“ წლიურ კრების შესახებ, გამეკიცხოს საკვირაო სასწავლებელი. ამითი ვაცხადებ, რომ მე საზოგადოდ არც ერთი საკვირაო სასწავლებელი არა მქონია მხედველობაში და დავწერე რა, რომ „საკვირაო სასწავლებლის მასწავლენი“ მოვიდნენ მეთქი კრებაზედ, ამით მინდოდა აღმენიშნა ის ხარისხი განათლებისა, რომელზედაც სდგას მესამე დასის წევრთა უმრავლესობა.

ჩიორა

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზეთის სამშაბათის №-ში დასტამბულია ბ. იაკობ გოგებაშვილის წერილი, რომელიც მე შემეხება, გთხოვთ დამიბეჭდოთ ორიოდე სიტყვა ბ. გოგებაშვილის უსაფუძვლო ბრალდების საპასუხოდ.

თავდაპირველად უნდა აღვიარო, რომ წერილის ხ ე ლ-უ ხ ლ ე ბ ლ ა დ დაბეჭდვის პირობა მე ბ. გოგებაშვილისათვის არ მიმიცია და ეს არც მას უთხოვნია; მე აღვუთქვი მხოლოდ, რომ წერილს დავბეჭდავთ, ხოლო შეუმოკლებლად თუ შემოკლებით, შენიშვნით თუ უშენიშვნოთ, ამის შესახებ ბ. გოგებაშვილისთვის მე არაფერი არ მითქვამს.

„რად იკადრა“ წერილის ერთის ადგილის გამოტოვება რედაქციამაო, ჰკითხულობს ბ. გოგებაშვილი. სიტყვა „იკადრა“ სრულიად უადგილოა: რედაქციამ მხოლოდ თავის უფლებით ისარგებლა და გამოსტოვა ის, რაც უმნიშვნელოდ და უხერხულად ჩასთვალა. ბ. გოგებაშვილის წერილი შეეხებოდა „ცნ. ფურცელში“ დაბეჭდილს ანგარიშს და ასწორებდა ვითომ და შეცდომებს; სახელდობრ: ანგარიშში ნათქვამი იყო, რომ ბ. გოგებაშვილს გამგეობის წევრებმა ერთხმად მიაძახეს „ჭორიაო“, მას უნდა დაემტკიცებია, რომ ამ ფაქტს ადგილი არ ჰქონია კრებაზე, ე. ი. რომ მისთვის სიტყვა „ჭორი“ არ უთქვამთ; ბ. გოგებაშვილი-კი იმის განხილვას შეუდგა— ჰქონდათ თუ არა გამგეობის წევრთ ნება მიეძახნათ მისთვის ეს სიტყვა. რედაქციას სრული უფლება ჰქონდა სავსებით გამოეტოვებინა ბ. გოგებაშვილის წერილიდან ის ადგილი, რომელსაც საგნად ჰქონდა დაემტკიცებინა, რომ გამგეობის წევრთ არ შეეძლოთ „ჭორი“ ეთქვათ, რადგანაც ანგარიში აღნიშნავს მხოლოდ ფაქტს და მის შემდგენელს ნება არა აქვს შეუდგეს იმის განხილვას, ვინ არის მართალი და მტყუანი. მაგრამ რედაქციამ არ ისარგებლა სავსებით თავის უფლებით და მაინც დასტოვა ბ. გოგებაშვილის წერილში ის ადგილი, რომელიც ამბობს—გამგეობის წევრთ არ შეეძლოთ ეთქვათ ჭორიო, რადგანაც ვლადიკავკავის სკოლაში მართლა ჰსუფევს უწესოებაო. რედაქციამ გამოსტოვა მხოლოდ ის ადგილი, სადაც ბ. გოგებაშვილი სწერდა საჩივრების შესახებ, რადგანაც უხერხულად მიაჩნდა სკოლის მდგომარეობაზე მითქმა-მოთქმისა და ლაპარაკის გაგრძელება

რაც შეეხება ბ. გოგებაშვილის ბრალდებას, ვითომც რედაქციამ განგებ გამოსტოვა ხსენებული ადგილი, რადგანაც ბ. გოგებაშვილის გაშავება ჰსურდაო, გულწრფელად უნდა აღვიარო, რომ ჩემთვის მხოლოდ ეხლა გამოირკვა კავშირი ბ. გოგებაშვილის „სიმართლის აღდგენისა“ და არჩევნების შუა: მე აზრადაც არ მქონია, რომ იმ ადგილს რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა ბ. გოგებაშვილის არჩევნებთან; ეხლა-კი ცხადია, რომ ბ. გოგებაშვილს სიმართლე-კი არ აწუხებდა, არამედ თეთრი კენჭების მოგროვებისათვის დასჭირებია გამგეობის წევრთა გამტყუნება და თავისთავის გამართლება; რომ მას ანგარიშის შესწორება-კი არ ნდომებია, არამედ პოლემიკა გამგეობის იმ წევრებთან, რომელთაც სიტყვა „ჭორი“ მიაძახეს, რათა ამ გზით ამომრჩეველთა გული მოეგო.

გიორგი ლასხიშვილი.

## „ივერიის“ ფოსტა.

**ბაქოში.** ვ. წ—ძეს. თქვენი ადრესი არ ვიცით, თორემ წიგნით გთხოვდით გამეორებას.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

7 ნოემბერი.

**ვაშინგტონი.** რუსიი ელჩი გრაფი კასინი სადარბაზოდ იყო სტატს სეკრეტარ გეისთან ელჩს მინდობილი აქვს ხელმწიფე იმპერატორის სახელით გამოსთქვას იმპერატორის ნიკოლოზის II მეგობრული გრძნობანი შეერთებულის შტატები სადმი. ამას გარდა ელჩი პირადად გარდასცემს პრეზიდენტს რუზველტს მათის უდიდებულესობის ღრმა მწუხარებას მაკ-კინლეის სიკვდილის გამო.

**ლონდონი.** გუშინ პლიმუტში კემპბელ-ბანერმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც, სხვათა შორის, სთქვა, რომ ჯემსონის თავს დასხმას ტრანსვაალზე ალაგი არ ექნებოდა, თუ რომ იმ დროს ინგლისის მთავრობის საქე ლიბერალების ხელში ყოფილიყოო. მას არა სწამს, რომ მაშინ შეთქმულობა ყოფილიყოს ტრანსვაალიდან ინგლისელების განდევნისათვის; ეს მერმე გამოიგონეს იმიტომ, რომ სულმოკლენი გაემხნევებინათ და ინგლისის თანამდებობის კაცნი ჩაეჩუმებინათ. ბანერმანი უარჰყოფს, რომ მას როდესმე ეთქვას ისეთი რამ, რაც თვით დიდად შორს გამჭვრეტელ კაცსაც შესძლებოდა გაეგო, როგორც წაქეზება ბურებისა. ის მხოლოდ აღნიშნავს, რომ, მართებლობას მოქმედება ბურების მიმართ უაზროა. შემდეგ ბანერმანმა განმარტა, რომ იმ საშიშროებას, რაც ეხლა ინგლისს მოელის, თავიდან ვერ ავიცდენთ, სანამ ახალშენთა სამინისტროს ჩემბერლენი ჰმართავს და პრეტორიაში მილნერი იქნებაო. ბოლოს ბანერმანმა გამოსთქვა თავისი აზრი, რომ ინგლისი ვალდებულია, ბურების წინააღმდეგ ომის მედგრად განგრძობასთან ერთად წარმოადგინოს ისეთი სამშვიდობო პირობები, რომ მათი მიღება შეიძლებოდესო.

8 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** კონსტანტინოპოლი და ლივერპოლი შავი შირის მხრივ უშიშარ ადგილებად არიან გამოცხადებულნი შინაგან საქმეთა მინისტრი, თანახმად ეკატერინესლავის გუბერნატორისაგან მიღებულ ცნობებისა, აცხადებს, რომ ხსენებული გუბერნიის სლავიანოსერბის მაზრაში ხალხ გამოსაკვები დააკლდებაო.

**ლონდონი.** ჩემბერლენს მოუვიდა ვილაც მარინერისაგან პენტრიტიდან გამოგზავნილი, წერილი რომლითაც დამწერი ურჩევს ჩემბერლენს, რომ მან სცადოს მოსპოს უსიამოვნება, გამოწვეული მისი ბოლონდელი სიტყვისაგან ზოგიერთს წრეებში გერმანელ ხალხისა. ჩემბერლენმა უბრძანა თავის მდივანს გასცეს მარინერს პასუხი, რომ ეს ნაძალადევი აგიტაცია გერმანიაში მხოლოდ გაუგებრობისაგან არისო გამოწვეული, რომ თავად ის არც კი ჰფიქრობს მიაქციოს ამას ყურადღება, თუმცა მისთვის სასურველი იქნებოდა დაემტკიცებინა, რომ არც ერთს კეთილ გონიერს გერმანელს არ შეუძლია შეურაცყოფილად იცნოს თავი მისგან წარმოთქმულ სიტყვით, რომელშიაც ის ბრიტანიის ჯარის საქციელს ტრანსვაალში ამართლებდა სხვა ერთა ჯარების მსგავსსავე მდგომარეობაში მსგავსივე მოქმედებით.

**ლონდონი.** სადამოჟნო მთავრობამ დააკავა ხომალდი, რომელსაც წარსულ ოთხშაბათს მგზავრები უნდა წაეყვანა ზღვაში სასეირნოდ. ზოგიერთმა გარემოებამ, მაგალითად იმან, რომ იმ ხომალდს ჰქონდა ელექტრონის რეფლექტორები, მთავრობას ეჭვი აღუძრეს. ამბობენ, ვითომც დამოჟნის მოხელეებს ენახოსთ ზედ ოთხი ზარბაზანი, ხის ნახშირი და გვარჯილა; სურსათად ჰქონებიათ, კონსერვები, ხმიადები და სხვებიც რამ ისეთნი, რაც სრულიად საჭირო არ იყო მოსეირნეთათვის ხომალდი ისე იყო მოწყობილი, რომ ზედ დაეტეოდა 500—600 კაცი. მოხელეებს ვითომც დანამდვილებით შეეტყოსთ, რომ ის ხომალდი ჰამბურგისკენ ეპირებოდა წასვლას. დაბეჯითებით ამბობენ, რომ შკიპერმა მრძანება დაბეჭდილ პაკეთით მიიღოვო.

**ნიუ-იორკი.** სავაჭრია პალატაში ბანკეტის დროს, სტატს-სეკრეტარმა გეიმ პოლიტიკაზე ლაპარაკის დროს სთქვა, რომ მონროეს პრინციპი ეხლაც ხელმძღვანელია ამერიკისაო, თუმცა ამასთანავე ჩრდილო ამერიკის შტატები სრულიადაც არ ცდილობენ შეიძინონ ტერიტორიები სამხრეთს აფრიკაში. ამერიკა ცდილობს დაუმეგობრდეს ყველა სახელმწიფოებს და აღებ მიცემობა გამართოს ყველა ხალხებთან. ვერავითარი ძალის მოჭარბება ვერ მოაქმედებინებს ამერიკას, რომ ის უჯიათად მოექცეს სხვა ერს მხოლოდ იმიტომ, რომ ის აქაო და სუსტი არისო. მეორეს მხრივ უსინიდისო კრიტიკის მორიდებაც ვერ აიძულებს ამერიკას შეურაცხყოფა მიაყენოს, ან ამაყად მოეპყრას რომელსიც მე დიდ სახელმწიფოს იმიტომ, რომ იგი ძლიერი სახელმწიფოა.

**ჰააგა.** აღმსრულებელმა საბჭომ სალხთა შორის სამედიატორო სასამართლოისამ დღევანდელს სხდომაზე გადასწყვიტა, რომ მას არ ეხელმწიფება აწარმოვოს ბურების წინადადება—გაეწიათ მათთვის შუამდგომლობა სამხრეთ აფრიკის საქმეში.

**სევასტოპოლი.** ოსმალეთიდან დაბრუნებულნი მოგზაურები ამბობენ, რომ მათ გაჭირვებული ცხოვრება ჰქონებიათ იქ.

**პარიჟი.** საფრანგეთის ელჩი კონსტანი წავიდა კონსტანტინეპოლში.

**ლონდონი.** ამბობენ სამხედრო სამინისტრომ გადასწყვიტა ადგილობრივს ჯარებს მოუმატოსო. ბევრი ახალი ბატალიონები იკრიბება ინგლისსა და შოტლანდიაში.


# განცხადებანი

## პატივცემულ ქართველ საზოგადოებას



გვაქვს პატივი ვაუწყოთ, რომ ამ დღეებში ჩვენმა სავაჭრო ფირმამ საზღვარ-გარეთიდგან მიიღო მრავალი ხელისა და ფეხის საკერავი მაშინა სხვა და-სხვა ფაბრიკებისაგან. ჩვენი სავაჭრო ფირმა პირიანად ჰყიდის სხვა-და-სხვა სისტემის მაშინებს. ამასთან მყიდველს დაეთმობა მაშინა მომეტებული პროცენტით, ვიდრე სხვაგან სადმე ტფილისში რისთვისაც ყველა მაშინის შეძენის მსურველს ვთხოვთ მობძანდეს და დარწმუნდეს სინამდვილეში.

ფირმის წარმომადგენელნი: გიორგი ანდრიას ძე ლაზარაშვილი და დიმიტრი დავითის ძე ჯმუხაძე.

ადრესი: სიონის ქუჩა, მაისურაძის და ხოჯაფარუხოვის ქარვასლა, № მაღაზიისა 5. და 53.

ტელეგრამის ადრესი: ტფილისი, ლაზარევი და ჯემუხაძე, ტელეფონი 756.

(25—163—18)

ამერიკულ ვაზის სანერგეს

## კლო - ქუზურულში

იყიდება ერთის წლის ფესვ-გაკეთებული ვაზები სხვა-და-სხვა ჯიშისა: ადგილობრივი, ყირიმული, ბორდოული, ბურგუნდიული, შამპანიური, რეინური და სხვა.

გვაქვს 403 ნაირი ვაზი, **საღვინე, სახარჯო** (სასუფრე) და **სალებავად** გამოსადეგი ჯიშისა, აგრეთვე სანაყოფოდ გამოსადეგი დ ამერიკული გიბრიდები დ ზედ დასამყნელად გამოსადეგი გიბრიდები,

მრავალგვარი ფესვები, გაკეთებული ამერიკული ვაზები და გიბრიდები სანაშენოდ, თესლები სანაყოფო და სხვა გიბრიდებისა და სხვ.

**მსურველებს შეუძლიათ ჩემგან დაიბარონ.**

პრეისკურანტი (ფასების ნუსხა) უფასოდ მსურველთ გაეგზავნებათ.

ადრესი წერილთა და ტელეგრამისათვის: Кутаисъ, В. Тьебо.

დასამყნელი მაშინა „დორენი“ ამ ჟამად იყიდება ქუთაისში ს. პ ფეიქარიავის მაღაზიაში.

(2—230—1)

**შემთხვევას ხელიდან ნუ გაუშვებთ!**

## ი ა ფ ი

**ვაჭრობა ახლად დამზადებულ კამფეტებისა.**

კავკასიის საიუბილეო გამოფენის დახურვამდე ჩემს საკუთარს საგამოფენო პავილიონში დღეიდგან ყოველ დღე მეტად იაფად გაიყიდება ყველა კამფეტები, რომელიც ეხლა ამ პავილიონშია. ეს კამფეტები ჩემს საკამფეტო ქარხანაშია დამზადებული.

პატივისცემით ტფილისის პირველი გილდის ვაჭარი

გაბრიელ ზაქარიას ძე გოზალოვი.

(2—234—1)

# განმარტება

## საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობის გამგეობისაგან.

ტელეფონი № 741.

ხშირად გვეკითხებიან, პირად თუ წერილით: „**ფარმაცევტების გარდა**“ სხვებსაც შეუძლიანთ წევრებად ჩაწერა თუ არაო; ან კიდევ: „ქალებს“ მიიღებთ წევრად თუ არაო?

პასუხად ამ კითხვებისა ვაცხადებთ, რომ ფარმაცევტებმა მხოლოდ დავაარსეთ ეს ამხანაგობა, **წევრებად-კი ყველანი მიიღებიან განურჩევლად სქესისა.**

პაი ღირს **ხუთი თუმანი.** მსურველს შეუძლიან პაის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს წლის განმავლობაში.

ამხანაგობის დეპო და გამგეობა ამყოფება თბილისში, მუხრანიანთ ქუჩაზე, ალხაზაშვილის სახლში.

## განყოფილება

სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товариществу Фармацевтовъ.

ადრესი ტელეგრამის Тифлисъ „Фармацевтика“.

(10—6.—4)